# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/144 " 26 " თებერვალი 2018 წ.

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**„საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №1/56 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

1. „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №1/56 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესში" შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე-3 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

„8. მოსამართლის მიერ ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების გამოყენებისას, ასევე მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტის, სხვა სასამართლოში მივლინების, იმავე სასამართლოს სხვა სპეციალიზებულ შემადგენლობაში/კოლეგიაში/პალატაში გადასვლის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-2-მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული საქმეები ნაწილდება ამ წესის მე-4 მუხლის შესაბამისად, ხოლო იმავე სასამართლო კოლეგიის სხვა ვიწრო სპეციალიზაციაში მოსამართლის გადასვლის შემთხვევაში მასზე ნაწილდება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" და „ვ-ლ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქმეები.";

ბ) მე-4 მუხლის მე-13 და მე-14 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. მოსამართლის მიერ არანაკლებ 7 კალენდარული დღით შვებულებით ან სამსახურებრივი მივლინებით სარგებლობისას, ასევე, წინასწარ ცნობილი დროებითი შრომისუუნარობის გამო მოსამართლისთვის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების შემთხვევაში, მასზე არ ნაწილდება საქმეები (გარდა მორიგეობის დროს შემოსული საქმეებისა) სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერებამდე 1 კალენდარული დღით ადრე - რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის შემთხვევაში, 5 კალენდარული დღით ადრე - სააპელაციო და უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შემთხვევაში.

14. სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების (შვებულება, სამსახურებრივი მივლინება, დროებითი შრომისუუნარობა, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულება) პერიოდში მოსამართლეზე საქმეები არ ნაწილდება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ შვებულების, სამსახურებრივი მივლინებისა და დროებითი შრომისუუნარობის ხანგრძლივობა არ აღემატება 5 დღეს და გასანაწილებელი საქმეების განხილვის ვადა აღემატება 72 საათს. ამ შემთხვევაში

მოსამართლეზე საქმეები არ ნაწილდება მოსამართლისთვის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერებამდე 1 დღით ადრე. მოსამართლეზე საქმეები არ ნაწილდება ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს განსაკუთრებული ობიექტური გარემოება და საქმეების განხილვის ვადა არ აღემატება 72 საათს.";

გ) მე-5 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სააპელაციო სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეზე, გარდა კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული განსჯადი საქმეებისა, ასევე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანზე, განსაკუთრებულ შემთხვევებში, შესაძლებელია განაწილდეს საქმეები, როგორც წესი, არაუმეტეს 5%-ისა.".

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 მარტიდან.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი